საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2017 წლის ანგარიში

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს **მეზღვაურთა დეპარტამენტი**



მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2017 წლის განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა



მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2016-2017 წწ. განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა

აღმოიფხვრა დოკუმენტების გაყალბების პრეცედენტები

2013 წლის იანვრიდან სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროგრამა, რომლის საშუალებითაც იბეჭდება მეზღვაურთა დოკუმენტაცია დამცავი ნიშნებით, რამაც ფაქტიურად აღმოფხვრა დოკუმენტების გაყალბების პრეცედენტები. სწორედ ამ წარმატებული რეფორმის შედეგია, რომ სისტემის დანერგვის შემდგომი პერიოდიდან დღემდე არცერთი გაყალბების პრეცედენტი

არ დაფიქსირებულა, ხოლო ის მცირე რაოდენობა ყალბი

სერტიფიკატებისა, რომლებიც აღმოჩენილ იქნა, მიემართება

რეფორმამდელ პერიოდს და მათი იდენტიფიცირებისათვის

სააგენტოში შექმნილია ეფექტური მექანიზმები.



შენიშვნა*
2017 წელს აღმოჩენილი გაყალბებული მოწმობები მიეკუთვნება რეფორმამდელ (2013წლამდე) პერიოდს

2017 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად ტესტირებაზე დარეგისტრირდა 2153 მეზღვაური, ამათგან...





გასაუბრებაზე გამსვლელთა საერთო რაოდენობა იყო - 630, ამათგან...

გემის ტიპი	რაოდენობა
Container	313
Tanker	474
General Cargo	471
Ro-Ro	272
Passanger	18
Bulk Carrier	81
Livestock	10
Tug Boat	8
Yacht	2
Dredger	2
Supply Tug	1
Fish Carrier	24
Vehicle Carrier	14
	1690

2017 წლის განმავლობაში საქართველოს ნავსადგურებში შემოსული იყო 1690 გემი

საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობა 2012-2017 წლებში





2017 წლის განმავლობაში სააგენტოს **საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა** შეამოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 283 გემი, შენიშვნები აღმოაჩნდა 207 გემს. საანგარიშო პერიოდში მოხდა 23 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 10 გემის, ხოლო ფოთის ნავსადგურში - 13 გემის.

საქართველოს გემების სახელმწუფო რეესტრი

100 GT < (2017 VS 2016)



100 GT > (2017 VS 2016)



წლიდან წლამდე შეინიშნება შიდა და საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რიცხვის მატება

2017 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 15 მცურავი საშუალება

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

საქართველო, ბათუმი 6000, ბაქოს ქ. N50
ტელეფონი:+995 (422) 273912
ფაქსი: +995 (422) 273929
ელ-ფოსტა: INFO@MTA.GOV.GE
ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე: WWW.MTA.GOV.GE

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2017 წლის ანგარიში

შინაარსი

საქმიანობის სფერო

მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

საზღვაო უსაფრთხოება

ზღვაზე ძებნა-გადარჩენა და გემების მოძრაობის მონიტორინგი

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

საერთაშორისო და ადგილობრივ უწყებებთან თანამშრომლობა

საკანონმდებლო საქმიანობა

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

ISO 9001:2015

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს საზღვაო უსაფრთხოება და საზღვაო ტრანსპორტის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგება, ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, საზღვაო გადაზიდვა-გადაყვანების შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემის ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება, გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- ზღვაოსნობის უსაფრთხოების, გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შრომის დაცვის მიზნით ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და/ან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელობა, ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების განხორციელების, ავარიის შედეგად დაღვრილი ნავთობითა და მავნე ნივთიერებებით ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის მიზნით.
- საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით მოძრაობის დაყოფის სისტემების, საზღვაო დერეფნების, ფარვატერებისა და რეკომენდირებული გზების, ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავება, კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, უფლებამოსილების ფარგლებში;
- საქმიანობის მარეგულირებელი კანონშემოქმედითი საქმიანობის განხორციელება, რაც დაკავშირებულია კანონპროექტების მომზადებასთან, ნორმატიული აქტების მომზადებასთან, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან;კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ორ სამმართველოს:

- მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების აღიარებას, შეიმუშავებს ამ დაწესებულებების შემოწმების გეგმას, უწევს მონიტორინგს საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდებს და უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების კონტროლს.
- მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველო უზრუნველყოფს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მომზადებას და გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისთვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაცო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება-ორგანიზებას და სხვა.

მეზღვაურთა სერტიფიცირება

დიაგრამა # 1-ზე წარმოდგენილია მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2017 წლის განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა



დიაგრამა N2 - 2016-2017 წლებში გაცემული მეზღვაურთა მოწმობების სტატისტიკა



2013 წლის იანვრიდან სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროგრამა, რომლის საშუალებითაც იბეჭდება მეზღვაურთა დოკუმენტაცია დამცავი ნიშნებით, *<u>რამაც ფაქტიურად აღმოფხვრა დოკუმენტების გაყალბების პრეცედენტები</u>*. სწორედ ამ წარმატებული რეფორმის შედეგია, რომ <u>სისტემის დანერგვის შემდგომი პერიოდიდან დღემდე არცერთი გაყალბების პრეცედენტი არ დაფიქსირებულა</u>, ხოლო ის მცირე რაოდენობა ყალბი სერტიფიკატებისა, რომლებიც აღმოჩენილ იქნა, მიემართება რეფორმამდელ პერიოდს და მათი იდენტიფიცირებისათვის სააგენტოში შექმნილია ეფექტური მექანიზმები.

დიაგრამა N3 - ყალბი დოკუმენტების სტატისტიკა 2009-2017 წწ.



2017 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად ტესტირებაზე დარეგისტრირდა 2153 მეზღვაური, აქედან ტესტირება წარმატებით გაიარა 1561 მეზღვაურმა, ხოლო ვერ ჩააბარა 592 -მა. რაც შეეხება გასაუბრებას, გამსვლელთა საერთო რაოდენობა იყო - 630, 495 მეზღვაურის შემთხვევაში შედეგი იყო დადებითი, ხოლო 135 - ის - უარყოფითი.

საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებზე გაიცა 60 კურსის აღიარება. 2017 წელს აღიარების სერტიფიკატი გაიცა 1 საზღვაო საწვრთნელ დაწესებულებაზე. 2017 წლის განმავლობაში ზემოთხსენებულ სასწავლებლებში ჩატარებულ სასწავლო კურსებზე მსმენელების საერთო რაოდენობა შეადგენდა 25006 (გარდა GMDSS, პერსონალის გადამზადებისა და მეთევზე-მეზღვაურის კურსებისა).

საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გემების შესვლა-გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ნავთობტერმინალსაც.

გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში:

2017 წლის განმავლობაში საქართველოს ნავსადგურებში შემოსული იყო 1690 გემი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

გემის ტიპი	რაოდენობა
Container	313
Tanker	474
Gen.Cargo	471
Ro-Ro	272
Passanger	18
Bulk Carrier	81
Livestock	10
Tug Boat	8
Yacht	2
Dredger	2
Supply Tug	1
Fish Carrier	24
Vehicle Carrier	14
	1690

დიაგრამა #4-ზე ნაჩვენებია საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობა 2012-2017 წლებში



დიაგრამა # 5-ზე წარმოდგენილია საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2017 წელი)



ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლი

2017 წლის განმავლობაში სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა შეამოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 283 გემი, შენიშვნები აღმოაჩნდა 207 გემს. საანგარიშო პერიოდში მოხდა 23 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 10 გემის, ხოლო ფოთის ნავსადგურში - 13 გემის. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ დიაგრამა №6.



ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივ და საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში; უწევს გემებს 24 საათიან საინფორმაციო მომსახურებას - მნიშვნელოვანი სანავიგაციო ინფორმაციით გემების დროულ უზრუნველყოფას; სანავიგაციო დახმარებას - გემებზე გადაწყვეტილების მიღების დასახმარებლად და ეფექტური მონიტორინგისათვის, განსაკუთრებით რთულ სანავიგაციო და მეტეოროლოგიურ პირობებში ან სხვა საგანგებო შემთხვევებში; ასრულებს გემების მოძრაობის ორგანიზებას - საშიში სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით გემების შემდგომი გადაადგილების დაგეგმვას, რაც ითვალისწინებს გემების მოძრაობაზე დაკვირვებას. მეკავშირე ოფიცერი უზრუნველყოფს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლობას ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრში (სუფსა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის განმავლობაში.

2017 წელს დაფიქსირებული მონაცემები:

1.სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი, ტრანზიტული) – 3317.

2.საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში - 94.

3. საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ - 1.

4. სსსც-ს პასუხისგმებლობის SAR რაიონში და ნავსადგურებში DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF	1 საზღვაო	2 საზღვაო
MF	-	1 საზღვაო
HF	-	-
INM C	-	
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	1 საზღვაო, 1 საავიაციო	2 საავიაციო; 9 საზღვაო
სულ:	**საზღვაო - 2, საავიაციო- 1**	**საზღვაო-12, საავიაციო-2**

5. სსსც-ს პასუხისგმებლობის SAR რაიონის გარეთ DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF	-	-
MF	-	-
HF	1 საზღვაო	
INM C	-	
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-

406 MHz	2 საზღვაო, 1 საავიაციო	3 საზღვაო, 3 საავიაციო
სულ:	**საზღვაო - 3; საავიაციო -1**	**საზღვაო -3; საავიაციო -3**

6. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) შეტყობინების აქივაცია

არეალი	**შეტყობინების რ-ბა**	**მ.შ. მცდარი**
საქართველოს SAR რაიონსა და ნავსადგურებში	1	1
საქართველოს SAR რაიონის გარეთ	-	-
სულ:	**1**	**1**

7. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შეტყობინება - 2.

8. აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა - ***2017 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 5 მცურავი საშუალება.***

9. CleanSeaNet სისტემიდან მიღებული სავარაუდო ნავთობის დაღვრის განგაშის შეტყობინებების სტატისტიკა - 2017 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 41 სავარაუდო ნავთობის დაღვრის განგაში, რომელთაგან არცერთი არ დადასტურდა - არ დაფიქსირდა დამაბინძურებელი მცურავი საშუალება, როგორც CleanSeaNet სისტემით, ასევე ჩვენი მონიტორინგის საშუალებებით, რადგან ბევრი შემთხვევა გამოწვეულია ბუნებრივი მოვლენებით.

10. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ნავსადგურების აკვატორიებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრის მიერ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა - 4219.

11. გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ქვეცენტრების მიერ ჩატარებული ოპერაციების სტატისტიკა

ქვეცენტრი	**ზონაში შესვლა**	**ზონიდან გასვლა**	**რეიდიდან ნავმისადგომთან**	**ნავმისადგომიდან რეიდზე**	**სულ:**
ბათუმი	543	533	161	34	**1271**
ფოთი	981	932	456	55	**2424**
ყულევი	169	168	152	26	**515**

12. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში ჩატარებული ოპერაციები - 0

13. მეკავშირე ოფიცრის მონაწილეობა ჩატარებულ ოპერაციებში - 0.

საანგარიშო პერიოდში საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები:

- პერიოდულად ტარდებოდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნები სამგზავრო გემებთან;
- ყოველკვარტალურად ტარდებოდა ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისთვის მზადყოფნის წვრთნები განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- 2017 წლის აპრილის თვეში, სსსც-მ მონაწილეობა მიიღო თურქეთში გამართულ შავი ზღვის მუდმივმოქმედი კომისიის გარემოს უსაფრთხოების ასპექტების მრჩეველთა ჯგუფის 26-ე შეხვედრაში - BLACK SEA ALFA;
- დეპარტამენტის წარმომადგენლები მუდმივად მონაწილებდნენ საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში;
- ყოველკვარტალურად მონაწილეობდა შავი ზღვის საერთაშორისო საკომუნიკაციო წვრთნებში - BLACK SEA BRAVO;
- 2017 წლის ივნისის თვეში დეპარტამენტის კოორდინაციით ჩატარდა ფართომასშტაბიანი ძებნა-გადარჩენის და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნები - GEO SAR & OSR EX 2017. წვრთნებში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო და კერძო სექტორის უწყებებმა და მისი მიზანი იყო ძებნა-გადარჩენის ოპერაციის უზრუნველყოფა ზღვაში, ავარიული გემებისათვის დახმარების გაწევა, დაღვრილი ნავთობის შეგროვება და სანაპირო ზოლის დაცვა, ოპერაციის მართვის შტაბების შეთანხმებული მოქმედებების დამუშავება.

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

გემების რეგისტრაციასა და დროშის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობის გაცემა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი.

ქართული დროშის პოპულარიზაცია

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ახალი გემების მოზიდვა და გემების საშუალო ასაკის შემცირება. 1998 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი გამოცხადდა ღია რეესტრად, საქართველო პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავ სიაში ირიცხებოდა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაატარა რიგი პროაქტიული ღონისძიებები. კერძოდ, გამკაცრდა სააგენტოს მიერ იმ ორგანიზაციების აღიარების მოთხოვნები, რომლებიც ახორციელებენ მცურავი საშუალების ტექნიკურ ზედამხედველობას. საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ სტანდარტებთან, გაუმჯობესდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის მომსახურების პირობები, შემცირდა ტარიფები. ამ წარმატებული რეფორმების წყალობით, პირველად არსებობის ისტორიის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშამ 2014 წლის 1 ივლისს გადაინაცვლა პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის ნაცრისფერ სიაში. 2016 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, პარიზის და ტოკიოს ურთიერთგაგების მემორანდუმის დროშის წარმადობის მაჩვენებლით ქართული დროშა არცერთ სიაში არ ირიცხება.

მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

გემების რეგისტრაციის სამმართველო აწარმოებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების რეგისტრაციას საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში. 2017 წლის განმავლობაში საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

დიაგრამა N7 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები



დიაგრამა N 8 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები 2016-2017 წწ.



როგორც დიაგრამებიდან ჩანს, წლიდან წლამდე შეინიშნება შიდა ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რიცხვის მატება. თუ 2016 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული იყო 1014 ერთეული 100 რეგ.ტონაზე ნაკლები მცურავი საშუალება, 2017 წელს ეს ციფრი გაიზარდა და მიაღწია 1173.

დიაგრამა N9 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები



დიაგრამა N10 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები 2016-2017 წწ.



2017 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 15 მცურავი საშუალება:

- თევზსაჭერი - 8;
- ბალკერი -1;

- ტანკერი -1;
- რეფრიჟირატორული გემი - 1;
- იახტა - 4.

მცურავი საშუალებების რეგისტრაციის შედეგად გაცემული სერტიფიკატების/მოწმობების სტატისტიკა

საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში მცურავი საშუალების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის დროს გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. 2017 წლის განმავლობაში გაცემული სერტიფიკატების სტატისტიკა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	გემის ტიპი	
სერტიფიკატის დასახელება	***100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის გემი***	***100 რეგ. ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი***
გემის სარეგისტრაციო მოწმობა	106	582
გემის უწყვეტი ისტორიის მოწმობა		
მოხსნის ამონაწერი	1	3
ცვლილების შეტანა	23	46
იპოთეკის ცნობა	8	2
გემის ინსპექტირება	45	
სახომალდო რადიოსადგურის მოწმობა	84	71
ეკიპაჟის უსაფრთხო შემადგენლობის მოწმობა	53	
მოხსნის სერტიფიკატის გაცემა		
დამოწმება	82	9
CLC სერტიფიკატის გაცემა		1
ISPS მოწმობა	1	1
დამოწმებული ასლი	1	
იპოთეკის რეგისტრაცია	3	1
იპოთეკის მოხსნა		
დუბლიკატის გაცემა	6	1

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართ 2017 წელს გამოცემული ცირკულარები:

2017 წელს მოხდა 2015 წელს გამოცემულ ცირკულარში - Shipboard Equipment and Service Provider Approval ცვლილებების შეტანა .

საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრი

იუსტიციის სამინისტროს სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე პირველად საქართველოს საზღვაო ისტორიაში შეიქმნა

საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრი. პროექტი 2017 წლის 1 თებერვალს ამოქმედდა.

რეესტრის მეშვეობით:

- ხელმისაწვდომი გახდება ელექტრონულ ფორმატში ინფორმაციის მოპოვება სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებულ ყველა გემზე;
- გამარტივდება და დაიხვეწება გემთმფლობელთა რეესტრის წარმოება;
- დაინერგება ელექტრონული სარეგისტრაციო მოწმობები, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ვებ-გვერდიდან გემზე საქართველოს სახელმწიფოს სახელით გაცემული მოწმობების დამოწმება (ონლაინ ვერიფიკაცია) მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე, და შექმნის გაყალბების წინააღმდეგ საბრძოლველ ეფექტურ მექანიზმებს (www.mta.gov.ge);
- საქართველოს საზღვაო დროშა საერთაშორისო დონეზე გახდება უფრო კონკურენტუნარიანი;
- სააგენტოს მიერ აღიარებულ აგენტებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ უცხო ქვეყნის გემების პირველადი (დროებითი) რეგისტრაციის მოწმობების გაცემა მსოფლიოს ნებისმიერი წეტილიდან.

საერთაშორისო და ადგილობრივ უწყებებთან თანამშრომლობა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს საზღვაო სფეროს ეროვნულ-ტექნიკურ მარეგულირებელ ორგანოს, რომლის უმთავრესი ამოცანაა, საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯის და ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სააგენტოს თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების სხდომებს. სააგენტო, საქართველოს სახელით აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

„საუკეთესო საზღვაო ადმინისტრაცია აღმოსავლეთ ევროპაში“

ბრიტანული საინფორმაციო პორტალი Transport News მსოფლიოს მასშტაბით აშუქებს ტრანსპორტის სფეროში მიმდინარე სიახლეებს და ყოველწლიურად საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო და სახმელეთო ტრანსპორტის სფეროში აჯილდოვებს, შესაბამისი სექტორის წარმომადგენელებს მათ მიერ მიღწეული წარმატების შესაბამისად. სწორედ აღნიშნულმა გამომცემლობამ მიანიჭა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2016 წლის „საუკეთესო საზღვაო ადმინისტრაცია აღმოსავლეთ ევროპაში“ წოდება სააგენტოს მიერ განხორციელებული წარმატებული ღონისძიებების გამო, კერძოდ:

- ევროკავშირის მიერ აღიარებული მეზღვაურთა სერტიფიკატები;
- წარმატებული საზღვაო დროშა;
- გამართული საზღვაო საკანონმდებლო ბაზა;
- უსაფრთხოების და უშიშროების მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოს ნავსადგურებში;
- წარმატებული საერთაშორისო აუდიტები (EMSA, IMSAS);
- ISO 9001:2008 ხარისხის სისტემა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისები;
- გაყალბებისგან დაცული მეზღვაურთა დოკუმენტები;
- მეზღვაურთა ელექტრონული სახელმწიფო რეესტრი;
- მეზღვაურთა სერტიფიკატების განახევრებული ტარიფები;
- 49 საზღვაო სახელმწიფოსთან გაფორმებული მეზღვაურთა დასაქმების მემორანდუმები;
- 24/7 მომსახურება გემთმფლობელებისათვის;
- შემცირებული გემების სარეგისტრაციო ტარიფები;
- საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრი;

- 24/7 ზღვაზე ძებნა-გადარჩენის რეაგირებაზე მზადყოფნა;
- ნავსადგურებში გემების მოძრაობის მომსახურების თანამედროვე სისტემები;
- საერთაშორისო საზღვაო გამოფენებზე საქართველოს მაშტაბური მონაწილეობა;
- საქართველოს პირველი საერთაშორისო საზღვაო ფორუმის (GIMF 2016) წარმატებით ჩატარება;

სააგენტოს წარმომადგენელი საერთაშორისო მობილური სატელიტური ორგანიზაციის (IMSO) საკონსულტაციო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარედ აირჩიეს 2 წლის ვადით

2017 წლის 5 ივნისს, ქ.ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) გაიმართა საერთაშორისო მობილური სატელიტური ორგანიზაციის რიგით 39-ე საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 103 წევრი სახელმწიფო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ვანუატუს რესპუბლიკის წარმოამდგენელი ბ-ნი ლაურენტ პარენტე და ვიცე თავმჯდომარედ 2 წლის ვადით საქართველოს წარმომადგენელი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელი.
საქართველოს წარმომადგენლის არჩევა ასეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის საკონსულტაციო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარედ მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს საზღვაო სფეროსთვის და ზოგადად ქვეყნის იმიჯისთვის. IMSO არის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დაარსებული ორგანიზაცია , რომელიც აერთიანებს 103 ქვეყანას, მათ შორის 2015 წლიდან საქართველოსაც და არეგულირებს გლობალურ საზღვაო უსაფრთხოების სისტემას (GMDSS) და ასევე გემების გლობალურ იდენტიფიცირებას და კონტროლს (LRIT).

- ა/წლის 23 მარტს, ქ. ბათუმში, სასტუმრო რედისონში გაიმართა **აკადემიური საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა**. საკონსულტაციო საბჭო პირველად საქართველოს საზღვაო ისტორიაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ინიციატივით შეიქმნა და მისი წევრები გახლავთ სააგენტოს თანამშრომლები, საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებების ხელმძღვანელები, განათლებისა და წვრთნების ექსპერტები, ლოცმანები და საკრუინგო კომპანიების წარმომადგენლები. აღნიშნული საბჭოს შექმნა ემსახურება საზღვაო განათლების განვითარების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას, ქართველი კადეტებისა და მეზღვაურების პოპულარიზაციის ხელშეწყობას.

- 2017 წლის 15 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი, IMO-ს საზღვაო ელჩი საქართველოში კაპიტანი მამუკა ახალაძე საქართველოს საზღვაო სივრცის დაცვაში მონაწილე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელის, ქალბატონ მონიკა დორადოს ინიციატივითა და აშშ-ს სანაპირო დაცვის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონსა და სავანაში. ვიზიტის მიზანი იყო აშშ-ს სანაპირო დაცვისა და საზღვრის უსაფრთხოების სისტემის გაცნობა, რაც შემდგომში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს საზღვაო სივრცის ეფექტური კონტროლისთვის. ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა **ნავსადგურის უსაფრთხოების საერთაშორისო ურთიერთქმედების სტრატეგია, გემისა და ნავსადგურის უსაფრთხოების საერთაშორისო კოდექსისა და საზღვაო უსაფრთხო გადაზიდვების კანონის იმპლემენტაცია, ნავსადგურის საფრთხეების შეფასება**. ასევე განხორციელდა ვიზიტი ვაშინგტონში, ამერიკის სანაპიროს დაცვის მთავარ ოფისში, სავანის ზონის სავაჭრო პორტის კაპიტნის დივიზიონში და სავანის ნავსადგურის სხვადასხვა ტერმინალებში.
- 2017 წლის 3 მაისს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დელეგაცია, ოფიციაური ვიზიტით იმყოფებოდა პორტუგალიის ქ.ლისაბონში. ვიზიტის ფარგლებში **შეხვედრები გაიმართა პორტუგალიის საზღვაო ადმინისტრაციის დირექტორთან ბ-ნ პაულუ პარაჟუსთან და ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აღმასრულებელ დირექტორთან კაპიტან მარკუ მილისთან.** პორტუგალიის საზღვაო ადმინისტრაციასთან შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ორი ქვეყნის საზღვაო უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები და ქართველი მეზღვაურების დასაქმების ტენდენციები პორტიგალიის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე. მხარეები შეთანხმდენ გააგრძელონ ინტენციური მუშაობა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში ორი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ურთიერთმხარდაჭერაზე და ასევე გამოცდილების გაზიარებაზე საზღვაო დარგის სახელმწიფო რეგულირების მხრივ. რაც შეეხება EMSA-ში ვიზიტს, EMSA-ს წარმომადგენლებმა საქართველოს დელეგაციას გააცნეს ევროკავშირის პროექტის BCSEA ფარგლებში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ხსენებული პროექტი გაეშვა 2017 წლის 1 თებერვალს და გაგრძელდება 4 წლის განმავლობაში, მისი ბიუჯეტი შეადგენს 4 მილიონ ევროს. ასევე განხილულ იქნა საქართველოს მზაობა EMSA -ს აუდიტისათვის. ქართულმა დელეგაციამ დამატებით გაიარა კონსულტაციები ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების

თაობაზე, როგორიცაა საზღვაო სასწავლებლების სტუდენტების სანაოსნო პრაქტიკის პრობლემების მოგვარება და საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხო ქვეყნებში მიღებული განათლების აღიარება.

- 2017 წლის 31 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით, ქ. ბათუმში სასტუმრო დივანში გაიმართა **გლობალური საზღვაო ენერგოეფექტური პარტნიორობისა (GLoMEEP) და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ ორგანიზებული სემინარი, თემაზე გემების ენერგოეფექტური ოპერაციები.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციიდან ჩამობრძანდნენ ექსპერტები ზაბი ბაზარი (Mr. Zabi Bazari) და მიენდერტ ვიკი (Mr. Miendert Vink), ხოლო საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და საზღვაო სფეროს წარმომადგენლები.

  პროექტი ხორციელდება გლობალური გარემოს დაცვის სააგენტოს (GEF), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მხარდაჭერით მსოფლიოს 10 ქვეყანაში. საქართველო, გლობალურ პროექტში „პარტნიორობა საზღვაო ენერგო-ეფექტურობისათვის“ (Global Maritime Energy Efficiency Project - GLoMEEP) 2015 წელს ჩაერთო და დანარჩენ 9 ქვეყანასთან ერთად (არგენტინა, ჩინეთი, ინდოეთი, იამაიკა, მალაიზია, მაროკო, პანამა, ფილიპინები და სამხრეთ აფრიკა) წარმოადგენს ლიდერ ბენეფიციარ სახელმწიფოს.

  ორწლიანი პროექტი "წარმოადგენს ახალ გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს გლობალურ, რეგიონალურ და ეროვნულ პარტნიორობის განვითარებას საზღვაო ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

- 2017 წლის 5-9 ივნისს, ნიუ-იორკში, მდგრადი განვითარების მე-14 მიზნის (ოკეანეების, ზღვებისა და ზღვის რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების შესახებ) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, გაეროს კონფერენცია მიმდინარეობდა.

  7 ივნისს, კონფერენციის პლენარულ სხდომაზე განცხადებით წარსდგა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, საზღვაო ტრანსორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე თამარ იოსელიანი. თავის გამოსვლაში მან ისაუბრა ოკეანეების კრიტიკული მნიშვნელობის შესახებ და ხაზი გაუსვა ოკეანეების, ზღვების და ზღვის რესურსებისადმი ადამიანის ქმედებით გამოწვეული სავალალო ზეგავლენის შეჩერებისა და აღმოფხვრისათვის მდგრადი განვითარების მე-14 მიზნის გადაუდებელი განხორციელების საჭიროებას.

- 2017 წლის 7-16 ივნისის პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს **საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა კაპიტანმა მამუკა ახალაძემ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის რიგით 98-**

ე **საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.**შეხვედრაზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა და ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის საერთაშორისო კონვენციაში (SOLAS) ცვლილებების შეტანა, საზღვაო უსაფრთხოების, უშიშროებისა და ნავიგაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. კომიტეტეტის მუშაობის ფარგლებში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა მხარი დაუჭირა აშშ დელეგაციის მიერ წამოყენებულ საკითხს გემების კიბერ უსაფრთხობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) რეზოლუციის შესაბამისად, 2011 წლიდან **25 ივნისი** აღინიშნება, როგორც **მეზღვაურის დღე**. საქართველოც, მსგავსად მსოფლიოს სხვა საზღვაო ქვეყნებისა, 2012 წლიდან აღნიშნავს ამ დღეს. საანგარიშო პერიოდშიც, ტრადიციულად, ქ. ბათუმში გაიმართა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოში აკრედიტირებული საზღვაო სასწავლებლები და საზღვაო სფეროს სხვა წარმომადგენლები.
    - სხვადასხვა ლოკაციებზე დაგეგმილ ღონისძიებებს შორის, დღის მთავარი ღონისძიება ჩატარდა ბათუმის ნავსადგურის მე-10 ნავმისადგომზე, სადაც ოფიციალურმა პირებმა, საზღვაო სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და ზღვაზე ჩადენილი განსაკუთრებული სიმამაცისათვს არქიმანდრიტ მამა ილია კარტოზიას ჯილდო გადასცეს მეზღვაურებს, რომლებმაც, იტალიაში 200 მიგრანტი დაღუპვას გადაარჩინეს;
    - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს თანადგომით, ფონდმა „გურული დღიურები“- ერთწლიანი სტიპენდია გადასცა აკადემიის კურსანტს;
    - ერას მოედანზე, დილიდან გახსნილი იყო საზღვაო სფეროს წარმომადგენელთა გამოფენა და Flea Market, რომელიც დასრულდა საზეიმო კონცერტით;
    - სასტუმრო „შერატონ“-ში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და ქალთა საერთაშორისო სანაოსნო და სავაჭრ ასოციაციის (WISTA Georgia) ორგანიზებით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „პროფესია მეზღვაური“;
    - გაიმართა ავია შოუ „ფლაი ფესტ ჯორჯია“ სპეციალურად მეზღაურთა დღისადმი მიძღვნილი;
    - 6 მაისის პარკში ბავშვებისათვის გაიმართა სხვადასხვა გასართობი აქტივობა;
    - აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „მარინისტული პეიზაჟები“
- 2017 წლის 14-15 სექტემბერს, საერთაშორისო ანალიტიკურმა კომპანია „არგუს მედიამ“ ქ. ბათუმში, სასტუმრო ჰილტონში, საქართველოს რკინიგზის, ბათუმის

ნავთობტერმინალისა და ყაზტრანსოილის მხარდაჭერით ჩაატარა რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით **„არგუს შავი და კასპიის სატრანსპორტო დერეფანი 2017“.** კონფერენციის ფარგლებში განხილულ იქნა აზერბაიჯანი-საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი, ეკონომიკური კრიზისის ფონზე ახალი ტვირთები და პერსპექტივები, ტვირთის დინამიკა კასპიის და შავი ზღვის რეგიონში, შავი ზღვის ტერმინალები საქართველოსა და კასპიის რეგიონში, ახალ აბრეშუმის გზაზე რეგიონის ქვეყნებს შორის ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, სარკინიგზო ტრანზიტი აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, სატრანსპორტო კომპანიების ახალი მიდგომები. კონფერენციაზე საქართველოს როლზე ტრანს-კასპიის სატრანზიტო დერეფანში ისაუბრა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენელმა.

- 2017 წლის 15 სექტემბერს, ქ. ბათუმში, ევროკომისიის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანაორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე - **„რეგიონის ნაპირითა და საზღვაო თანამშრომლობით დაკავშირება“.** ღონისძიებას ესწრებოდნენ შავი ზღვის ქვეყნების (ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, რუსეთის, თურქეთის, უკრაინისა და მოლდოვის რესპუბლიკის) წარმომადგენლები - გარემოს დაცვისა და ეკონომიკის მინისტრები, დარგის ექსპერტები და მეცნიერები, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანოზაციების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა შავ ზღვაში ლურჯი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.
- 2017 წლის 20-21 ოქტომბერს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ **„შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ყოველწლიურ ძებნა-გადარჩენის რიგით მე-14 კონფერენციაზე“.** ღონისძიების მიზანი იყო რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავება ინფორმაციის გაცვლისა და შავი ზღვის რეგიონში საძიებო სამაშველო სამსახურების ეფექტური ოპერატიული კოორდინაციისათვის.
- 2017 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს **ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და კორეულ სატრანსპორტო კომპანია "Hyundai Glovis" შორის, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელშეწყობით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.** მემორანდუმის თანახმად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტები "Hyundai Glovis" -ის გემებზე საზღვაო სასწავლო პრაქტიკას გაივლიან. აღსანიშნავია, რომ "Hyundai Glovis" ერთერთი მსხვილი კორეული სატრანსპორტო კომპანიაა, რომელიც უზრუნველყოფს სატვირთო-ლოგისტიკურ მომსახურებას ოკეანეებსა და ზღვებში, ასევე შიდა და საჰაერო ტრანსპორტირების, ტვირთის შენახვისა და შეფუთვის მენეჯმენტს.

- უმსხვილესი იაპონური საგანმანათლებლო ფონდის NIPPON-ის თავმჯდომარის იოჰეი სასაკავას საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და ფონდი NIPPON_ის ერთობლივი ორგანიზებით, 2017 წლის 23-24 ოქტომბერს, სასტუმრო Radisson Blu Iveria-ში გაიმართა **შავი და კასპიის ზღვის რეგიონის 4 სასტიპენდიო პროგრამის სტიპენდიანტთა კონფერენცია,** რომლის მიზანი იყო საზღვაო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრინციპების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

- 2017 წელს **მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი** გაფორმდა პალაუს, ხოლო განახლდა ვანუატუს რესპუბლიკებთან.

საკანონმდებლო საქმიანობა

- საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N01 „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 25 დეკემბრის N05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N02 „არაკონვენციური მცურავი საშუალების რადიოაღჭურვილობისა და გემებზე სამაშველო აღჭურვილობების მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ „სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 17 მარტის N01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს N04 ბრძანება „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების“დამტკიცების შესახებ.

- სააგენტომ განახორციელა შემდეგი საერთაშორისო კონვენციების სარატიფიკაციო პროცედურების ინიცირება:
  - ⇨ ,,საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ'';
  - ⇨ „ათენის 2002 წლის კონვენცია ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“;
  - ⇨ „1988 წლის პროტოკოლი, საერთაშორისო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ 1966 წლის ცვლილებათა გათვალისწინებით“;
  - ⇨ „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ, 2001“.
- სააგენტოს მიერ მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს ბალასტური წყლის მართვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული პროექტი გადაგზავნილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.
- 2017 წლის 21 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი N714-IIს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- 2017 წლის 30 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ტრანსპორტის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა „საზღვაო ნავიგაციის“, „საზღვაო ინჟინერიის“ და

„საზღვაო ელექტროინჟინერიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები. საზღვაო ტრანსპორტის სფეროში დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების და ამოქმედების აუცილებლობა განაპირობა საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილმა ვალდებულებებმა, აგრეთვე, საზღვაო ტრანსპორტის დარგის განვითარების მიზნით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელების საჭიროებამ.

- ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება 2017 წლის ბოლომდე დანერგოს 2006 წლის 15 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 336/2006 რეგულაცია, გაერთიანების ფარგლებში საერთაშორისო უსაფრთხოების მართვის კოდექსის იმპლემენტაციის შესახებ. აღნიშნულის გათვალისიწინებით მომზადდა სააგენტოს დირექტორის ბრძანების პროექტი „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების” დამტკიცების შესახებ“. პროექტის შიდა უწყებრივი განხილვები დასრულებულია.
- სააგენტოს მიერ მომზადდა შემდეგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უახლოეს პერიოდში გაიგზავნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში:
  - ⇨ „გემებისა და ნავსადგურების უშიშროების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
  - ⇨ "მეზღვაურთა დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი.

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

2017 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებული იყო 117 ადამიანი, რაც შეეხება მაჩვენებლებს გენდერულ ჭრილში, შეიძლება ითქვას, ბალანსი დაცულია, სააგენტოში დასაქმებულია მდედრობითი სქესის - 39, და მამრობითი სქესის - 78 ადამიანი (მამაკაცი თანამშრომლების სიმრავლე ამ შემთხვევაში განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკით, იგულისხმება ზღვაზე ძებნა გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც აუცილებლად არიან მამრობითი სქესის).

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, გასცა 23 წერილი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო შესყიდვებს ახორციელებს ტენდერების გზით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტომ გამოაცხადა 14 ტენდერი. ტენდერი შედგა 8 შემთხვევაში ხოლო დანარჩენი 6 რჩება მიმდინარედ და დასრულდება 2018 წელს.

2017 წლის სექტემბერში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო გადავიდა ახალ ადმინისტრაციულ შენობაში. ახალი ოფისი სააგენტოს საშუალებას აძლევს ბევრად ეფექტური, მოქნილი მომსახურება შესთავაზოს მეზღვაურებს, გემთმფლობელებს და საზღვაო დარგის სხვა წარმომადგენლებს. ახალ შენობაში იგეგმება საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო მართვის ცენტრის ჩამოყალიბება თანამედროვე რადიოტექნიკური აღჭურვილობებით, რაც სააგენტოს სამომავლოდ საშუალებას მისცემს ჩაერთოს ევროკავშირის ერთიან სისტემაში (SafeSeaNet).

ISO 9001:2015

2017 წლის თებერვალში სააგენტომ შეიძინა საკონსულტაციო მომსახურება ხარისხის მართვის სისტემის ახალი სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით. 2017 წლის მაისის თვეში სააგენტომ შეუსაბამობების გარეშე გაიარა გარე სადამკვირვებლო აუდიტი.

2017 წლის დეკემბერში სააგენტომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოაცხადა ტენდერი ISO 9001:2015 საერთაშორისო მოთხოვნების მიხედვით ხარისხის მართვის სისტემის მომსახურების სამწლიან (2018 – 2020 წლები) შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელზედაც ასევე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია (შპს მენეჯმენტის სისტემები) და მომზადდა ხელშეკრულების პროექტი. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები 2015 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 ვერსიის დანერგვისა და იმპლემენტაციისათვის, ასევე 2018 წელს ახალი სტანდარტით სარესერტიფიკაციო აუდიტის გავლისათვის.

მენეჯმენტის სისტემის სერტიფიცირება გაზრდის ჩვენი სააგენტოს იმიჯს და მუშაობის ხარისხს საერთაშორისო დონეზე და ხელს შეუწყობს შიდა ბიზნეს პროცესების მართვაზე კონტროლის ამაღლებას. სააგენტოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებს და ევროკავშირის სავალდებულო დირექტივებს, რაც განაპირობებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების მაღალ დონეს.

ანგარიში მომზადებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ანალიტიკური სამსახურის მიერ.

საქართველო, ბათუმი 6000, ბაქოს ქ. #50
ტელეფონი:+995 (422) 274925
ფაქსი: +995 (422) 273929
ელ-ფოსტა: info@mta.gov.ge
ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე: www.mta.gov.ge